პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი“-ს დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი“-ს დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანმიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისათვის.

მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან/და განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:

ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თანამონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის განვითარება და სხვა.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღებით ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იზრდება.

3. განკარგულების პროექტის შემმუშავებელნი:

განკარგულების პროექტი შემუშავებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილების უფროსი, ირაკლი გიორგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი